СКკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

დიდი ქიმიის დამკვრელური ფრონტზე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 284 (12796) | შაბათი, 7 დეკემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.



რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივი, სხვადასხვა მიზეზების გამო მესამე კვარტალში ჩამორჩა, ქვეყანას დააკლო რამდენიმე ასეული ტონა მინერალური სასუქები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში ქარხნის კოლექტივმა განახორციელა მთელი რიგი ტექნიკურ-ორგანიზატორული ღონისძიებანი, მკვეთრად გააუმჯობესა მუშაობა, ჩამორჩენა დაძლია და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ახლა ქარხნის კოლექტივი ყოველდღიურად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უგზავნის 800 ტონაზე მეტ ძვირფას მინერალურ სასუქებს.

მაღალნაყოფიერ შრომაში დაწინაურდა ბევრი ცვლა და საამქრო. დაიდგა ახალი დანადგარები, რომლებიც მკვეთრად ზრდიან პროდუქციის გამოშვებას.

* * *

სურათებზე: ზემოთ — მეაპარატე ციური რაზმაძე (მარცხნივ) და ლაბორანტი თამარა ფილიპენკოვა ზომავენ მზა ამიაკური გვარჯილის ტემპერატურას გრანულაციის შემდეგ. ქვემოთ — № 3 საამქროში დამთავრდა ახალი თაროდის მონტაჟი, რომელშიც მოთავსებულია აპარატები და სკურუბერნეიტრალიზატორი.

ფოტო ვ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მხრებს შლის ქიმიის საწარმო

ა. სალარეიშვილი,
რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორი.

ცნობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მოწვევის შესახებ დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში. დღითიდღე ძლიერდება შრომის ტემპი, მატულობს ძვირფასი მინერალური სასუქების გამოშვება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქარხანამ 1956 წელს გამოუშვა თავისი პირველი პროდუქცია. მაშინ იგი საკოქსე გაზით მუშაობდა. ამიტომ, ცხადია, წარმადობა საკმაო არ იყო. 1960 წელს ჩვენი ქარხნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ყარაღაღიდან მივიღეთ ბუნებრივი გაზი. შევუდექით მის გამოყენებას და საწარმოც რენტაბელური, მომგებიანი გახდა. 1963 წლის მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1956 წელთან შედარებით სასაქონლო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 5,8-ჯერ, ხოლო 1965 წლისათვის გაიზრდება — 17-ჯერ.

საამაყოდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ შარშან ბრწყინვალედ ავითვისეთ წმინდა არგონის გამოშვება. ეს იშვიათი ქიმიური პროდუქცია შემდეგელ ტექნიკაში იხმარება.

პროდუქციის შემდგომი ზრდა მუდამ დგას ქარხნის კოლექტივის წინაშე. არსებული საამქროების რეკონსტრუქციისა და გაფართოების შედეგად მომდინარე შვიდწლედში მნიშვნელოვნად გაზრდით ამიაკის წარმოებას. და ეს ზღვარი როდი იქნება. მომდევნო შვიდწლედისათვის წარმოება თითქმის ერთიორად გაიზრდება.

ჩვენს ქარხანაში არსებობს შესანიშნავი პირობები ახალი წარმოების ორგანიზაციისათვის. ამჟამად, როგორც ვიცით, პროდუქციას უშვებს კაპროლაქტამის საწარმო. ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ უახლოეს პერიოდში მივაღწიოთ ამ საწარმოს საპროექტო სიმძლავრის ათვისებას. ვიცით რა კაპროლაქტამის, როგორც იშვიათი ქიმიური ნედლეულის, ყადრი, ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები ენერგიას არ დაიშურებენ ამ ახალი პროდუქციის გამოშვების გაზრდისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობასთან ერთად ჩვენ შევძელითო ავვითვისებინა ისეთი მნიშვნელოვანი მინერალური სასუქის გამოშვება, როგორიც არის ამონიუმის სულფატი, რომლის გამოშვებაება სწორედ კაპროლაქტამის ნარჩენებიდან ხდება.

განსაკუთრებული შრომითი აღმავლობა ჩვენს ქარხანაში ამ დღეებში. ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავ შრომის ვახტზე დგას, დღითიდღე ზრდის მინერალური სასუქების გამოშვებას. წარმატებით, დიდი გადაჭარბებით სრულდება ამიაკის გვარჯილის, აზოტის მჟავას და ამონიუმის გვარჯილის გამოშვების გეგმები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყოველდღიურად ვუგზავნით 800-850 ტონა მინერალურ სასუქებს.

ჩვენ მიერ მოპოვებული წარმატებები წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რასაც ახლო მომავალში მივაღწევთ. როცა ქარხნის პერსპექტივებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის, რომ მომავალ წელს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა იქნას წარმოებული. კიდევ მეტი. მომავალ წელს შევუდგებით ერთ-ერთი მძლავრი საწარმოს — ამიაკის ახალი საწარმოს მშენებლობას. ამასთან ამუშავდება შარდოვანას, კალიუმის პერმანგანატის, ამონიუმის ნიტრატის, ციანოვანი მარილების, მარგანეცის ხელოვნური ორყანგის და მრავალი სხვა საამქროები.

მინდა დავაყენო ზოგიერთი საკითხი, რომელთა მოგვარება ზემდგომი ორგანოების უშუალო საქმეა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქარხანამ საწარმოო დავალება ყველა ნომენკლატურის მიხედვით დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მეორე და მესამე კვარტალში ქარხნის მუშაობის პირობები მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ დროულად ვერ მოგვამარაგეს მოწყობილობითა და სპეცარმატურით. ამან დაადგინა სინთეზის კოლონის ამოქმედება. ამდენად ხუთი კოლონის ნაცვლად ოთხი კოლონა მუშაობდა.

მდგომარეობა იმანაც გაამწვავა, რომ აპრილსა, მაისსა, ივნისსა და ივლისში მეტად ტალახიან, უსუფთაო წყალს ვიღებდით მდინარე მტკვარი. ამან დაანგაროვა და ზოგ შემთხვევაში მწყობრიდან გამოიყვანა აგრეგატები. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს ქარხნის ტექნიკური წყლით მომარაგების საკითხი. ქარხანაში შევისწავლეთ ეს საკითხი და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ტექნიკურ წყლად ზოგიერთ შემთხვევაში — კერძოდ, როცა დიდი წყალდიდობებია ანდა იწმინდება მდინარე მტკვარი, — გამოყენებულ იქნას სამგორის სარწყავი არხი. ამ საკითხის დასმისას ჩვენ გვეუბნებიან, რომ სამგორის სარწყავი არხი ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ნიადაგების მორწყვას. ეს ჩვენც კარგად გვესმის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ წყალდიდობის დროს ნიადაგი ისეც ირწყვება და საჭიროებას არ წარმოადგენს სარწყავი არხი, ხოლო ჩვენ კი წყალდიდობის დროს გვჭირდება სწორედ სუფთა წყალი, ამ შემთხვევაში აქ დადებითად უნდა გადაიჭრას ეს საკითხი. ვფიქრობთ, ამ მდგომარეობას ჯეროვნად შეაფასებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში და მიიღებენ სასურველ გადაწყვეტილებას.

მეორე მტკივნეული საკითხია ქარხნის მომარაგება ელექტროენერგიით. ელექტროენერგიის გამორთვას, რასაც ზშირად აქვს ადგილი, მწყობრიდან გამოჰყავს ცალეული აგრეგატები. მაშასადამე, ირღვევა მინერალური სასუქების ტექნიკური პროცესები. წელს 10 თვეში 13-ჯერ იქნა გამოთიშული „გრუზენერგოს“ მიერ ელექტროენერგია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამან დიდი ზარალი მიაყენა ქარხანას. განსაკუთრებით არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა ელექტროენერგიის გამოთიშვას პირველ აგვისტოს, როცა მწყობრიდან გამოვიდა ამიაკის წარმოების მრავალი მექანიზმი. ქიმიურ მრეწველობაში, სადაც მეტად ფაქიზ პროცესებთან გვაქვს საქმე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ელექტროენერგიის გამოთიშვა. ეს კარგად უნდა გაიგონ „გრუზენერგოს“ ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

სერიოზული პრეტენზიები გვაქვს გზმომარაგების მუშაკებისადმიც. ბუნებრივ გაზს ჩვენ საწვავად როდი ვიყენებთ, იგი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ამათუ იმ ქიმიური პროდუქციისათვის. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ძალზე ეცემა ბუნებრივი გაზის წნევა. ხშირად იგი 2,4 ატმოსფერომდე დადის, როცა ნორმალურად 7-8 ატმოსფეროა საჭირო. ეს მდგომარეობა, გარდა იმისა, რომ ამცირებს პროდუქციის გამოშვებას, იწვევს ტექნოლოგიური რეჟიმის სერიოზულ დარღვევას.

როგორც აღვნიშნე, ზემოთ მოყვანილი ხელშემშლელი მიზეზები დამოკიდებულები არ არის ქარხანაზე. ამიტომ პრინციპულად მოვითხოვთ მათ მოგვარებაში ქმედითი დახმარება. ამმოგვიჩინოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველომ.

თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბევრ რამეში ჩვენც ვცოდავთ. ჯერ კიდევ სუსტია შრომის დისციპლინა ქარხნის მომსახურე პერსონალს შორის, ინსტრუქციისა და დადგენილი წესების დარღვევა იწვევს ტექნოლოგიური რეჟიმის მოშლას, მოწყობილობის დაზიანებას. გვაკლია კვალიფიციური მუშახელი, განსაკუთრებით რემონტის ზეინკლები და ინჟინერ-მექანიკოსები.

ეს ბოლო თვეებია ქარხანა დიდი გადაჭარბებით ასრულებს მინერალური სასუქების გამოშვების გეგმას. ჩვენ უკვე შევძელით დაგვეფარა მესამე კვარტალის დანაკლისი და ახლა გეგმის გადამეტებით ვუშვებთ პროდუქციას.

მაგრამ მიდწეულით არ დავკმაყოფილდებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად ვიკისრეთ წლიური გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ ასეულობით ტონა ამონიუმის გვარჯილა, ნატრიუმის გვარჯილა, კალიუმის პერმანგანატი.

ავტომატური ხელსაწყოები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა გასული წლის ბოლოს მეტად საპატიო დავალება მიიღო.

ქუთაისელ კონსტრუქტორებს სინთეზური კაუჩუკის წარმოებისათვის უნდა დაეპროექტებინათ კაუჩუკის ლენტებსა და ბრიკეტებში შემთხვევით მოხვედრილი ლითონის მინარევების აღმომჩენი ავტომატური ხელსაწყოები.

საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა გათვალისწინებულ ვადაზე შეასრულა დიდი ქიმიის დაკვეთა და არა მარტო დააპროექტა, არამედ კიდევაც დაამზადა ადგილზე მუშაობის ერთნაირი პრინციპის მქონე ორი სხვადასხვა კონსტრუქციის ავტომატური ხელსაწყო — ცალკე კაუჩუკის ბრიკეტებში და ცალკე ლენტებში ლითონის მინარევების აღმოსაჩენად.

ავტომატური ხელსაწყოების — ლითონდეტექტორების დაპროექტებასა და შექმნაზე ბეჯითად მუშაობდა „კონსტრუქტორთა ორი ჯგუფი წამყვანი ინჟინრების გ. სტეფანიასა და გ. ყაველაშვილის ხელმძღვანელობით, ინჟინერ-კონსტრუქტორების ფ. კოხრეიძისა და შ. დვალიშვილის მონაწილეობით.

ამ დღეებში ქუთაისის სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ ორივე კონსტრუქციის ავტომატური ხელსაწყოები, თვითეული სამი ცალის რაოდენობით, საწარმოო გამოცდაზე გაგზავნა ვორონეჟის მანქანათსამშენებლო ქარხანაში. გამოცდამ ჩინებული შედეგები გვიჩვენა. ქუთაისური ხელსაწყოები ჩართეს აღნიშნული ქარხნის მიერ აწყობილ ავტომატურ ხაზში, რომელიც ამ ხელსაწყოებთან ერთად დაიდგმება დიდი ქიმიის მსხვილ საწარმოში — კუბიშევის სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში.

ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები საქართველოში

სტუმრები ეცნობიან საქართველოს

დიდი გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით ხვდებიან საქართველოს მშრომელები ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციის წევრებს.

სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობიან რესპუბლიკის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ქართველი ხალხის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას. დელეგაციის წევრთა ჯგუფმა იმოგზაურა აჭარის ასს რესპუბლიკაში. აქ ისინი გაეცნენ სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებს, ეწვივნენ იულიუს ფუჩიკის სახელობის საშუალო სკოლას, რომლის მოსწავლეები და პედაგოგები საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების კოლექტიური წევრები არიან.

გუშინ ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები იყვნენ თბილისის იან ამოს კომენსკის სახელობის 24-ე საშუალო სკოლაში. უაღრესად გულთბილი, გულითადი იყო სტუმრების შეხვედრა ბავშვებთან. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის გენერალური მდივანი იან ნემეცი ქართულ ენაზე მიესალმა მოსწავლეებს. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსი ჩეხურ ენაზე, შეასრულეს რამდენიმე ჩეხური და სლოვაკიური სიმღერა.

— ეს შეხვედრა, — თქვა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ფრანტიშეკ მალირეშმა, — მკაფიოდ მოწმობს, რომ ყველაზე პატარა მოქალაქეებსაც კი გულწრფელად უყვართ ჩვენი ხალხი.

ნაშუადღევს სტუმრები იყვნენ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

საღამოს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ დარბაზობა გამართა სტუმრების პატივსაცემად. (საქდესი).

დ. გ. სტურუამ მიიღო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაცია

გუშინ, 6 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ მიიღო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაცია, რომელიც თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 20 წლისთავის დღესასწაულზე.

დარბაზობაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ფრანტიშეკ მალირეში, ჩეხოსლოვაკიის სახალხო მხატვარი ირჟი პროგი, სლოვაკიის კრასნოტაპოლჩანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მწველავი მარია ბრახოვა.

დ. გ. სტურუასა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომელშიც ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. დ. გ. სტურუამ უამბო სტუმრებს, თუ როგორ ვითარდება რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა, გააცნო სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებსაც წყვეტენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე ა. ა. გიგოშვილი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე დ. ო. ლორთქიფანიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ჯ. ნ. ლომაშვილი, პ. ს. დულაშვილი და სხვები. (საქდესი).

მეგობროგის საღამო თბილისში

20 წელი გავიდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების დღიდან. სახელოვანი ოცი წლისთავი ახალი დიდი მოვლენებით აღინიშნა ჩვენი ხალხების ისტორიაში: მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების მოქმედების შემდგომი 20 წლით გაგრძელების შესახებ.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას, აგრეთვე ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციულ ერთთვიურს მიეძღვნა რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო საღამო, რომელიც 6 დეკემბერს გაიმართა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, საწარმოთა და მშენებლობათა წარმოების მუშაკები, მოსწავლეები, საბჭოთა არმიის მეომრები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ო. ლოლაშვილი, ე. სალუქვაძე, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების აქტივისტები, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციის წევრები კავშირის გენერალური მდივნის იან ნემეცის მეთაურობით.

საღამო გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მელაძემ. დიდებულად ყოფილ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნები.

სიტყვა მოხსენებისათვის — „სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მეოცე წლისთავი“ ეძღვნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილეს, პროფესორ მ. ჩიქოვანს. იგი აღნიშნავს, რომ გასულმა ოცმა წელმა გვიჩვენა, რომ ხელშეკრულება ემსახურება ჩვენი ქვეყნების ძმური მეგობრობისა და ყოვლისმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების დიდსა და კეთილშობილურ მიზნებს. გააგრძელეს რა შემდგომი 20 წლით საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების მოქმედება, საბჭოთა კავშირმა და სოციალისტურმა ჩეხოსლოვაკიამ კვლავ დაადასტურეს ჩვენი ქვეყნების ურყევი ერთგულება მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკისადმი.

სიტყვას ამბობს კიევის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მოარავი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ა. ალექსეენკო. ეს საწარმო კოლექტიური წევრია საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებისა. იგი ამბობს, რომ ჩარხმშენებლებს მჭიდრო კავშირი აქვთ ჩეხოსლოვაკიის მშრომელებთან. „ზიარიებენ მათ გამოცდილებას. ქარხნის ბევრი მუშა, მოსამსახურე სწავლობს ჩეხურ ენას. უკანასკნელ წლებში საწარმოს 40-მდე მუშაკი ეწვია ჩეხოსლოვაკიას.

გულშიჩამწვდომი სიტყვა წარმოთქვა ჩეხურ ენაზე საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრმა დოცენტმა კ. ქვილიძემ. სულ ცოტა ხნის წინათ მან დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ჩეხოსლოვაკიაში. ჩვენი ორი ქვეყნის ხალხები, — თქვა ამბ. ქვილიძემ, — მოძმე ხალხები არიან. ჩვენ საერთო ბედი, საერთო ინტერესები გვაქვს. ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა მარადიული და ურღვევია.

გულითადად მიესალმნენ და ახალი წარმატებანი უსურვეს სოციალისტურ მშენებლობაში ჩეხოსლოვაკიელ ხალხს მწერალმა მ. კახიძემ, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა თ. ჭინჭარაძემ, იან ამოს კომენსკის სახელობის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ლია ბენაშვილმა.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე კ. ვ. ოსტროვიტიანოვი. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ოცი წლისთავი და ხელმოწერა ოქმისა ამ ხელშეკრულების მოქმედების შემდგომი 20 წლით განგრძობის შესახებ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა დიდასულოვნებაა. ეს მოვლენა დაემთხვა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციულ ერთთვიურს. ერთობა და მეგობრობა მიაჩნიათ საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებს მომავალ გამარჯვებათა საწინდრად მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის გენერალური მდივნის იან ნემეცის გამოსვლას. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ამ ორგანიზაციის ყველა წევრის, მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელით იგი გულთბადად, ძმურად მიესალმა საქართველოს მშრომელებს.

ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაანტკიცოს და განავითაროს ძმური მეგობრობა საყოველთაო-სახალხო ლოზუნგის „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად!“ სულისკვეთებით.

საზეიმო საღამოს მონაწილეებმა მისალმებანი გაუგზავნეს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალურ კომიტეტს პრაღაში და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის სლოვაკიის კომიტეტს ბრატისლავაში. (საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნ. შ. რამიშვილისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს ნინო შალვას ასულ რამიშვილს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1963 წლის 6 დეკემბერი.

მილოცვეგი ფინეთის მთავრობისა და ხალხისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ფინეთის პრეზიდენტს ურჰო კეკონენს გაუგზავნა დეპეშა, რომელიც ფინელ ხალხს საბჭოთა ხალხისა და პირადად თვისი სახელით გულთბადად ულოცავს ეროვნულ დღესასწაულს — ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 46 წლისთავს. ურჰო კეკონენისათვის გაგზავნილ დეპეშაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი გულწრფელად ულოცავს ფინელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშა გაუგზავნა ფინეთის პრემიერ-მინისტრს ატი კარიალაინენს. საბჭოთა მთავრობის სახელით ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების 46 წლისთავი.

ფინეთის პარლამენტსა და მის თავმჯდომარეს კაუნო კლეემოლეს ნაყოფიერი საქმიანობა უსურვეს დღესასწაულის წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის თავმჯდომარეებმა ი. ვ. სპირიდონოვმა და ი. ვ. პეიეემ. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ დეპეშა გაუგზავნა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ველი მერიკოსკის და ყოველივე სიკეთე უსურვა. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

6 დეკემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. პ. ფ. ლომაკოს მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების გეგმის პროექტის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. ფ. ბარბუზოვის მოხსენება სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების გეგმის პროექტი შემუშავებულია პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე მუშების, ინჟინრებისა და მეცნიერების ფართო მონაწილეობით. პროექტს საფუძვლად დაედო პრინციპები და მიმართულებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 ივნისის ცნობილ წერილში, რომლის თანახმად აღებულია ის მტკიცე კურსი, რომ უპირატესად განვითარდეს მრეწველობის ყველაზე პროგრესული დარგები და ცალკეულ სახეობათა წარმოებანი, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას.

პროექტით დასახული ღონისძიებანი მიზნად ისახავენ, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ქიმიური მრეწველობის, განსაკუთრებით მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების, პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოების, სინთეზური კაუჩუკის, კვების ნედლეულის შემცველთა წარმოების პრიორიტეტი, რომ დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის განვითარება, ფართოდ დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევანი სახალხო მეურნეობაში და კიდევ უფრო ამაღლდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე და გაუჯობესდეს ყოფაცხოვრება.

გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებმა, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის გადიდება, საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების დაჩქარება და ახლად ამუშავებული ობიექტების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება, შიგასამეურნეო რეზერვების გამოყენების გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები შეტანილ იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

უკრაინის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი თბილისში

4 დეკემბერს სპორტის სახალხემ ვერ დაიტია უკრაინის ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე დასწრების ყველა მსურველი.

კონცერტის „ჩვენ უკრაინიდან ვართ“ პროგრამაში იყო არიები ოპერებიდან და საესტრადო ნომრები, ხალხური ცეკვები და ტანვარჯიში. დიდი წარმატება ხვდა წილად უკრაინის სსრ სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ვირსკი ხელმძღვანელობს. მსახიობებმა ოსტატურად შეასრულეს ნომრები — „ჩვენ უკრაინიდან ვართ“, „სიმინდის ყანაში“, „ჩუმკათა სიხარული“, „ახალწლის ქარბუქი“, „პოლზუნეცი“, „ფლოტილია „საბჭოთა უკრაინის“ მეზღვაური“ და სხვა.

თბილისელებმა სიამოვნებით მოისმინეს კომპოზიტორ რ. ლაღიძის სიმღერა თბილისზე, რომელიც კიევის შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტებმა რ. მარტიროსოვამ და გ. დერევენკომ შეასრულეს.

მაყურებლებმა ღირსეულად შეაფასეს უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტის ა. სოვას ფა

ᲕᲐᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲛᲔᲓᲐᲒᲔᲑᲘ, ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ, ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

თვითეული პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში არის დღეები, როცა როგორც ვეებერთელა სარკეში, ისე მოჩანს მისი მოღვაწეობის ნამდვილი სახე. ამ სარკეში ჩანს მიღწევები, როგორც დღის სინათლე, და ნაკლიც, რომელიც ამ სინათლეს ჩრდილად ეცემა.

აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენციაც სწორედ ის სარკე იყო, რომელმაც თავის მონაწილეთა წინაშე გადაშალა ოლქის მრავალფეროვანი ცხოვრების მთელი სურათი, შეაჯამა პარტიული ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პეროდში გაწეული მუშაობა და მეუთითა ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების სწორად, პრაქტიკულად გადაჭრის გზებზე.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ᲑᲚᲐᲨᲕᲘ.

ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ მოხსენებაში და მოკამათეთა გამოსვლებში მთავარი ყურადღება დათმობილი ჰქონდა პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორულ მუშაობას, როგორც წარმატებათა უპირველეს წყაროს. ორგანიზატორული მუშაობის უფრო შემოქმედებითად გაშლისათვის კი ფართო ასპარეზი გადაშალა პარტიის XXII ყრილობამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა. კონფერენციის მონაწილენი განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს პარტიული ორგანოების მუშაობის საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნის მთელ სიკეთეს.

აი გუდაუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მაგალითი.

გასულ სამეურნეო წელს ყოფილი გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობებმა ვერ შეძლეს წარმატებათა მოპოვება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაწყვეტ ზონებისა და საწარმოო სამმართველოს უსწრებს უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე კადრების რიცხვით. ამ სამმართველოში ასეთ მუშაკთა რიცხვი 500-ს აღემატება, ამასთან ეს რიცხვი განუხრელად იზრდება. კოლმეურნეობების ასობით თავმჯდომარე, ბრიგადიერები, მერკოლეტები, რიგითი კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები წარმოების მოუწყვეტლივ სწავლობენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

პარტიული კომიტეტის ორგანიზატორულ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა სწავლებას შრომის საუკეთესო მაგალითებითა და ნიმუშებით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას წარმოებაში.

ინსპექტორ-პარტორგანიზატორის ნ. მდინარაძის ინიციატივით სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობაში დაიწყო მოძრაობა კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის წოდებისათვის. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია უნარიანად და გულდასმით ეწყობა ეროვნული კულტურის ბაღის ფეხზე დაყენებას. ეს ხდება მოწინავე გამოცდილების სკოლაში. აქ საუკეთესო ადამიანებზე საუბრობენ აგიტატორები, მათი შრომის მეთოდებზე წერენ კედლის გაზეთები.

ინსპექტორ-პარტორგანიზატორი მ. მელიქაძე დაეხმარა სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის კომუნისტებს შიდასამეურნეო ანგარიშზე გადაეყვანათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის ყველა პროცესი. ეს გამოცდილება დიდ საწარმოო ეფექტს იძლევა და დადებითი მაგალითია სხვა მეურნეობებისათვის.

უნარიანად წარმართავს კომუნისტთა ძალებს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებისათვის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი ა. მეკვანაძე. მისი ზონის მეურნეობებმა გადაჯარებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლის, მარცვლეულის მიყიდვის გეგმები. კოლმეურნეობებში მუშაობენ აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა და კოლმეურნე შუქურების გამოცდილების შესწავლისა და პრაქტიკულად გამოყენების სკოლები. ნაყოფიერად შრომობს ლაითურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, სადაც წარმოების გადამწყვეტ უბნებზე არიან კომუნისტები.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაზე აგებენ თავიანთ მუშაობას ავრეთვე ინსპექტორ-პარტორგანიზატორები რ. ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲔ, ტ. ᲩᲮᲘᲙᲐᲫᲔ, ი. ᲝᲡᲔᲤᲨᲕᲘᲚᲘ, ლ. ᲚᲝᲚᲝᲜᲢᲘ, ს. ᲡᲝᲡᲘᲚᲝᲕᲐ და სხვები. დიდი წვლილი შეაქვთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობაში პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორებს. დიდმნიშვნელოვანია ისიც, რომ პარტიული კომიტეტის მოელი აპარატი განუწყვეტლივ სრულყოფს თავის ცოდნას, რათა კიდევ უფრო აამაღლოს მასობრივ-ორგანიზატორული მუშაობა სოფლის მშრომელებში. რეგულარულად ეწყობა პარტიული მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები, სწავლობენ სოფლის მეურნეობის კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს. სწავლაში ჩაებნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებიც. სხვადასხვა სემინარზე, სკოლებში, კურსებზე ისინი იძენენ მეურნეობის გაძღოლის გამოცდილებას.

პარტიული კომიტეტის მჭიდრო კონტაქტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან ხელს უწყობს მიზანსწრაფულ და კონკრეტულ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას. მთავარი ყურადღება ექცევა სოფლის შრომელთა აღზრდას შრომისა და საზოგადოებრივი საკეთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲑᲓᲔᲜᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ სამრეწველო საწარმოების საანგარიშო პერიოდში ჯამართულად იმუშავეს.

სწორედ საწარმოთა რიტმული მუშაობაზე, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ამ საწარმოებში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება როგორც მომხსენებელმა, ისე დელეგატებმა — პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲛ, „ტყვარჩელქვანახშირის“ № 6 შახტის ბრიგადირმა Ი. ᲑᲣᲘᲪᲘᲜᲘᲫᲔ.

მოწინავე საწარმოთა შორის მათ დაასახელეს „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტი, ჭარხანა „ელექტროხელსაწყო“, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი, ხორცკომბინატი და სხვ.

ბევრ საწარმოში ფართო გაქანება მიიღო კომუნისტური შრომისათვის მოძრაობამ. ამჟამად 1200 საწარმოო კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის სახელის მოსაპოვებლად. 256 ბრიგადამ უკვე მოიპოვა ეს სახელი.

ამასთანავე ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ მრეწველობისა და მშენებლობათა მუშაკები ყველა რეზერვს როდი იყენებენ. როგორც წინა წლებში, ახლაც ზოგიერთმა საწარმომ ცუდად იმუშავა. წელს 104 სამრეწველო საწარმოდან ათი თვის დავალებები ვერ შეასრულეს 18 საწარმომ. ჩამორჩენილთა შორის არიან სოხუმის საკონსერვო, ხიბადამმუშავებელი ქარხნები, კოდორის სატყეო მეურნეობა, პიციკვარის ბარიტის საბადოს სამმართველო, ტყვარჩელის № 2 შახტი.

როგორც სპალაქო და სამრეწველო-საწარმოო ზონების პარტიულ კონფერენციებზე, აქაც დელეგატებმა მკაცრად თითებს იმაზე, თუ როგორ გავლენას ახდენს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ესა თუ ის დონე სამეურნეო საქმიანობაზე.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა საანგარიშო პერიოდში ჯამართულად იმუშავეს.

სწორედ საწარმოთა რიტმულ მუშაობაზე, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ამ საწარმოებში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება როგორც მომხსენებელმა, ისე დელეგატებმა — პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲛ, „ტყვარჩელქვანახშირის“ № 6 შახტის ბრიგადირმა Ი. ᲑᲣᲘᲪᲘᲜᲘᲫᲔ.

მოწინავე საწარმოთა შორის მათ დაასახელეს „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტი, ჭარხანა „ელექტროხელსაწყო“, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი, ხორცკომბინატი და სხვ.

ბევრ საწარმოში ფართო გაქანება მიიღო კომუნისტური შრომისათვის მოძრაობამ. ამჟამად 1200 საწარმოო კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის სახელის მოსაპოვებლად. 256 ბრიგადამ უკვე მოიპოვა ეს სახელი.

ამასთანავე ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ მრეწველობისა და მშენებლობათა მუშაკები ყველა რეზერვს როდი იყენებენ. როგორც წინა წლებში, ახლაც ზოგიერთმა საწარმომ ცუდად იმუშავა. წელს 104 სამრეწველო საწარმოდან ათი თვის დავალებები ვერ შეასრულეს 18 საწარმომ. ჩამორჩენილთა შორის არიან სოხუმის საკონსერვო, ხიბადამმუშავებელი ქარხნები, კოდორის სატყეო მეურნეობა, პიციკვარის ბარიტის საბადოს სამმართველო, ტყვარჩელის № 2 შახტი.

როგორც სპალაქო და სამრეწველო-საწარმოო ზონების პარტიულ კონფერენციებზე, აქაც დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს № 6 სამშენებლო ტრესტისა და „ბიკვინთომშენის“ სამშენებლო სამმართველოს მუშაკები, რომელთა საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. კონფერენციის მონაწილეთა კრიტიკა შეხვდა აგრეთვე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსაც, რომლის დანაწილების ხელი აკლია აფხაზეთის ბევრ მშენებლობას.

ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲘ წელი აფხაზეთის სოფლის მშრომელებისათვის ახალი გამარჯვებების წელია. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეჩაიეებმა. თუ გასულ წელს მათ მოკრიფეს 26.039 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მიმდინარე წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 30.022 ტონა „მწვანე ოქრო“, გეგმა შეასრულეს 111,2 პროცენტით. გასულ წელთან შედარებით 400 კილოგრამით გაიზარდა ჩაის ფოთლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს გალის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა. მათ მოკრიფეს და ხახელმწიფოს მიჰყიდეს 15.726 ტონა ფოთოლი. წარმატებით იშრომეს გუდაუთის, ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოთა მეჩაიეებმა. კიდევ უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ მეურნეობებს. ასეთები არიან გუდაუთის საწარმოო სამმართველოს დურიფშისა და ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს ქოჩარის კოლმეურნეობები.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები თავმოწონებულია, არა სრულდება ახალი პლანტაციების გაშენების გეგმები.

საქართველოს მეჩაიეებმა გადაწყვიტეს მომავალ წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 190 ათასი ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი. ამაში გარკვეული წვლილი უნდა შეიტანონ აფხაზეთის მშრომელებმაც, რომლებმაც იკისრეს მოკრიფონ 29.200 ტონა. ამ ამოცანის შესასრულებლად დელეგატებმა ყურადღება მიაქციეს საამორო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას. ეს ნიშნავს, ეკონომიურად ხარჯავენ, ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ეკონომიკურ ანალიზებს, ეკონომიკურ ანალიზებს, ეკონომიკურ ანალიზ

საერთაშორისო
დეკემბერი, ცნობიერი, ერთიანობა
ცხოვრება

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები ალჟირში

ერთიანი განთავისუფლების ფრონტის ცენტრალურმა ორგანომ ყოველკვირეულმა „ალ-მუჯაჰიდმა“ გამოქვეყნებული ნომრის დამატებად გამოუშვა ვ. ი. ლენინის სიტყვებისა და სტატიების თარგმანები. გამოშვებას უხვად არის დასურათებული ვ. ი. ლენინის ფოტოსურათებით და საბჭოთა მხატვრების ნახატებით დიდი ბელადის ცხოვრებიდან. (საკდესი).

„მრგვალი მაგიდის“ კონფერენცია

სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები განიხილავენ საერთაშორისო პრობლემებს

5 დეკემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში, გაიხსნა „მრგვალი მაგიდის“ კონფერენცია. სათვალავით მერვე შეხვედრაში (უკანასკნელი შეხვედრა გაიმართა მიმდინარე წლის იანვარში პარიზში), მონაწილეობენ 19 ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. ისინი აზრს გაუზიარებენ ერთმანეთს საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებზე.

პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა შორის არიან პროფესორი გ. ტირინგი (ავსტრია), სენატორი ა. როლენი, პარლამენტის დეპუტატი ვ. ლარიკი (ბელგია), პროფესორი ბ. სპასოვი (ბულგარეთი), პარლამენტის წევრები ფ. ნოელ-ბეიკერი და დ. ჰილი (დიდი ბრიტანეთი), ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ზიკი (უნგრეთი), პროფესორი ა. შტეინგერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ფლორენციის მერი ლა პირა და სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი პ. ვიტორელი (იტალია), პროფესორი ო. ლანგე (პოლონეთი), დიდი ეროვნული კრების უცხოეთის კომისიის წევრი გ. ივაშკუ (რუმინეთი), მწერალები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. კორნეიჩუკი და ი. ერენბურგი (სსრ კავშირი), ყოფილი მინისტრი, გაზეთ „ლიბერასიონის“ დირექტორი დ‘ ასტიე, ყოფილი მინისტრი, პარლამენტის დეპუტატი ჟ. მოკი, ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე რ. შმიდლენი (საფრანგეთი), ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. პლოიგარი (ჩეხოსლოვაკია), გ. ბრანტინგი (შვეიცია), იუგოსლავიის საკავშირო სკუპშინის განათლებისა და კულტურის საკითხთა ვეჩის თავმჯდომარე ნ. სეკულინი, ავრეგი დანიის, ნორვეგიის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და შვეიცარიის წარმომადგენელები.

საერთო დისკუსიაში, რომელსაც თავმჯდომარეობდნენ ბელგიელი სენატორი ა. როლენი და ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ლანგე, შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პრობლემებს.

მრგვალი მაგიდის დისკუსია 8 დეკემბრამდე გასტანს. (საკდესი).

ჩვენი კოსმონავტების პატივსაცემად

ჯაკარტა, 5 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტები, რომელებიც იავაში მოგზაურობის შემდეგ ჯაკარტაში დაბრუნდნენ, გუშინ საღამოს შეხვდნენ ინდონეზიის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. დაახლოებით 15 ათასი კაცი, რომლებსაც ლამაზად მორთულ სპორტის სასახლეში მოეყარათ თავი, მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კოსმონავტებს და პრეზიდენტ სუკარნოს.

დიდი ყურადღებით მოისმინეს ა. ნიკოლაევის, ვ. ბიკოვსკის, ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას გამოსვლები, რომლებმაც ილაპარაკეს საბჭოთა კოსმოსური ხომალდების გაფრენებზე, საბჭოთა კავშირის შესანიშნავ მიღწევებზე კოსმოსის ათვისების საქმეში, რაც მთელი მსოფლიოს აღტაცებას იწვევს.

მკაფიო გულშიჩამწვდომი სიტყვა თქვა სუკარნომ. „თქვენ, — თქვა სუკარნომ, როცა ინდონეზიელებს მიმართა, — შესანიშნავი მისაბაძი მაგალითი გაქვთ — საბჭოთა კოსმონავტები. დიად გმირობას მათ დიადი იდეები მთავაგონებდა. მაშ იყავით თქვენც ასეთივე დიდი იდეების ადამიანები და აიჭერით ცაში. დე ჩვენი ძვირფასი სტუმრების ვიზიტმა ჯიდევ უფრო მეტად აღგაფრთოვანოთ სახელოვანი საქმეებისათვის.

ქალთა ფედერაციის გიუროს სხდომა

ბერლინი, 5 დეკემბერი. (საკდესი). აქ ფედერაციის თავმჯდომარის ეფენი კოტონის თავმჯდომარეობით გაიხსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ბიუროს სხდომა.

ბიურო განიხილავს, თუ როგორია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ამოცანები და პერსპექტივები ქალთა მოფლიო კონგრესის შემდეგ, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში გაიმართა მოსკოვში.

დღის წესრიგშია მუვიდოგა

დელი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ტ. ნ. ნიკოლაევა მეთაურობს. დელეგაცია დაესწრება ხემინარს საერთაშორისო ურთიერთობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საკითხებზე, რომელიც 7 დეკემბერს გაიხსნება და სამ დღეს გაგრძელდება. სემინარის დღის წესრიგშია თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები — განიარაღება და ატომური ომის ლიკვიდაციის გზები, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების გზები, რასიზმისა და კოლონიალიზმის ლიკვიდაციის პრობლემა, ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობა. ამ საკითხების გარდა ინდოეთის პარლამენტის მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტმა, რომელიც ამ სემინარის მთავარი ორგანიზატორია, დღის წესრიგში შეიტანა მიუმხრობლობის პოლიტიკის საკითხი.

ცილისმწამებელი მხილებულია

ბოგოტა, 6 დეკემბერი. (საკდესი). „კოლუმბიის მთავრობას იმის არაფერი საბუთი არა აქვს, რომ კოლუმბიის ტერიტორიაზე კუბის იარაღი შემოაქვთ“, განუცხადა პრესის წარმომადგენლებს კოლუმბიის შინაგან საქმეთა მინისტრმა აურელიო კამაჩომ.

ეს განცხადება მან გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ ვენესუელის პრეზიდენტი რომელო ბეტანკური ამტკიცებდა: კოლუმბიის ტერიტორიაზე „ძირგამომთხრელი საქმიანობის მიზნით“ კუბის იარაღი შემოაქვთო.

„არ ვიცი რა დოკუმენტები ან დამამტკიცებელი საბუთები ჰქონდა მხედველობაში პრეზიდენტ ბეტანკურს, როცა ასეთი განცხადებას აკეთებდა“, — დასძინა აურელიო კამაჩომ.

ლ. ჯონსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობის უმთავრესი მიზანია ეკონომიკის განვითარების სტიმულირება გადასახადების შემცირების საშუალებით და უსამართლობის მოსპობა მოქალაქეობრივ უფლებათა კანონმდებლობის მეოხებით. ჯონსონმა ეს განუცხადა ამერიკის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების — ამერიკის შრომის ფედერაციისა-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, რომლებიც წუხელ მიიღო თეთრ სახლში.

ჯონსონმა მკვეთრად გააკრიტიკა კონგრესი იმის გამო, რომ აქამდე არ მიუღია გადასახადების შემცირების კანონპროექტი და მოქალაქეობრივ უფლებათა კანონპროექტი, რომლებიც განსვენებულმა პრეზიდენტმა კენედიმ შეიტანა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ჯონსონმა განაცხადა, რომ გადასახადების შემცირების კანონპროექტი „ყველაზე ფართო ღონისძიებაა, რომლის განხორციელება შეუძლია ამერიკის შეერთებულ შტატებს“ უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ კონგრესში მხარს არ უჭერენ ამ კანონპროექტს.

პრეზიდენტმა თქვა, რომ მთავრობა „მიზნად ისახავს უზრუნველყოს ამერიკელებისათვის 75 მილიონი სამუშაო ადგილი“. ეს დღევანდელი დასამუშავებელი დღიუზე ხუთი მილიონით მეტია. „მე გულხელდაკრეფილი არ ვიქნები, როცა, სულ უფრო მწვავდება უმუშევრობის პრობლემა“ — ხაზი გაუსვა ჯონსონმა.

1961 წელს, როცა პრეზიდენტის პოსტს იკავებდა, ჯონ კენედიმაც განაცხადა, რომ მისი მთავრობა არაფერს დაიშურებს უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად. მაგრამ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი როდი შემცირდა. ხოლო ახლა ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობა მუშა ხელის საერთო რიცხვის დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენს.

ჯონსონი შეეხო მოქალაქეობრივ უფლებათა კანონპროექტს, რომლის მიღებასაც კონგრესი მაინც და მაინც არ აჩქარებს და განაცხადა: „დაუსრულებელი გაჭიანურება, არაფრად ჩაგდება და გულგრილობა ლახავს ჩვენს ეროვნულ სინდისს. ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ ცოტას ვაკეთებთ, ხოლო თუ რამე გავაკეთეთ, ვაკეთებთ ძალიან დაგვიანებით“.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მიმართა ამერიკის შრომის ფედერაციისა-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელებს და მოუწოდა მხარი დაუჭირონ მთავრობის ღონისძიებებს დაბეგვრისა და მოქალაქეობრივ უფლებათა დარგში.

ანგოლის მოსახლეობა პორტუგალიელთა უღელქვეშ ახლა ისევე ცხოვრობს, როგორც მრავალი ათეული წლის წინათ. კოლონიზატორებს აქედან გააქვთ ყველაფერი — სიზალი, შაქრის ლერწმი, ბამბა, ნიგოზი, ნუში. მკვიდრი მოსახლეობა უუფლებოა. გლეხები კვლავ სანახევროდ შიმშილობენ და უბადრუკ ქოხმახებში ცხოვრობენ.

სურათზე, რომელსაც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ავრცელებს, თქვენ ხედავთ ჩრდილოეთ ანგოლის სოფელ ნეგაგეს მცხოვრებთ.

სიძულვილის მთესველები

ნიუ-იორკი, საკდესის კორესპონდენტი ლ. ველიჩანსკი იტყობინება:

ამერიკის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე და მთელი რიგი გაზეთები ახლა მკვეთრად გმობენ „სიძულვილის მთესველებს“, აცხადებენ, რომ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ატმოსფეროს შექმნისათვის, რომელშიც შესაძლებელი გახდა ისეთი საზარელი დანაშაული, როგორიც იყო პრეზიდენტის მკვლელობა. ამასთან, როცა ამერიკაში ლაპარაკობენ „სიძულვილით მოვაჭრეებზე“ ან „ცოფიან ექსტრემისტებზე“, ყველამ იცის, რომ საქმე ეხება კუკლუქსკლანელებს, ბერჩისტებს, თეთრკანიან მოქალაქეთა საბჭოების წევრებსა და სხვა ფაშისტ ნაძირალებს.

გუშინ ექსტრემისტები ამხილა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა ედგარ ჰუვერმა. მაგრამ მან თავისი გამოსვლა ისეთნაირად ააგო, რომ ფაქტიურად მხარი დაუჭირა მათ. ვაშინგტონის ებრაელთა კონგრეგაციაში, სადაც ჰუვერს რაღაც დამსახურებისათვის ჯილდო გადაეცა, მან განაცხადა: „ამ ბოროტმა ფანატიკოსებმა, მემარცხენე და მემარჯვენე ექსტრემისტებმა ...გააღვივეს ალი, რომელშიც იღუპებიან ღირსეული ამერიკელები, უდანაშაულო ბავშვებიც კი დაიწვნენ [illegible]

[illegible] „ექსტრემისტებს“ „ეწოდებენ“ [illegible] ეს, არ [illegible] ... [illegible] ... ბაზრთ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ნ. პ. ოგარიოვის დაბადების 150 წლისთავის გამო

სულით რაინდი



ჩვენ ვცხოვრობდით ყველა მიმართულებით — ასე ახასიათებდა ა. გერცენი ხალხისათვის თავგანწირულ იმ უშიშარ მეამბოხეებს, რომელთა რაზმს, გერცენთან ერთად, ნ. პ. ოგარიოვის რომანტიკულად აღგზნებული პიროვნებაც აშშვენებდა.

ნ. პ. ოგარიოვი არა მარტო პრაქტიკოსი რევოლუციონერი, არამედ შესანიშნავი პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და ესთეტიკის ბრწყინვალე თეორეტიკოსი, მგზნებარე პოეტი და კრიტიკოსიც იყო. იგდაიბადა 1813 წლის 6 დეკემბერს პეტერბურგის არისტოკრატიულ ოჯახში, სადაც გატაცებით ისმენდა 1812 წლის ამბებს, თავდავიწყებით კითხულობდა პუშკინის, შილერის, ჩილეკის, პროტესტანტულ ლექსებს და ძალმოძრეობის სამყაროსთან შერთებულ რუსოს იმ პოლიტიკურ ტრაქტატებს, რომლებმაც სამარადისო კვალი დატოვეს ყმაწვილის სულში.

„განახლების ის გრიგალი", რომელმაც ძირეულად შეატრიალა იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი აზრი და ახალი, რევოლუციური გზით წარმართა თვით ოგარიოვის ცხოვრება, რა თქმა უნდა, მაინც 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყება იყო. შემთხვევით არ წერდა რევოლუციონერი პოეტი, რომ პეტერბურგში, სენატის მოედანზე ავარდნილმა აჯანყებამ ალმა უდიდესი „ზნეობრივი გადატრიალება მოახდინა ჩემს ცხოვრებაშიო".

დეკემბრის დაუვიწყარმა დღეებმა ზნეობრივი გადატრიალება მოახდინეს ახალგაზრდა გერცენშიც, რომლის სიყრმის მეგობარი იყო ოგარიოვი. რევოლუციაზე მეცნიერებე ჰაბუკები მაშინ ფიცითაც შეეკვრნენ ერთმანეთს, რომ ცხოვრების გარიჟრაჟზე არჩეულ საბრძოლოგზას არასოდეს არ უღალატებდნენ და სიკვდილამდე მისი ერთგულნი დარჩებოდნენ. და ეს ფიცი მათ შეასრულეს თავიანთი ნათელი, თავგანწირული და რაინდული სიცოცხლით.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა ნ. ოგარიოვის მსოფლმხედველობა. იგი მოსკოვის უნივერსიტეტში გაეცნო სოციალიზმისა და მატერიალიზმის იდეებს, რომელთა გასაგრცელებლად იქ სტუდენტთა წრეც შექმნა. ამისათვის ყანდარმერიის მიერ დაპატიმრებული ნ. ოგარიოვი მოსკოვიდან გადაასახლეს. ეს მოხდა 1834 წელს, ხოლო 1838 წელს დიდი რევოლუციონერი ესტუფრა კავკასიას და აქ რუსეთიდან გადმოსახლებული დეკაბრისტებიც მოინახულა.

თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის დასამხობად ამბოხებულ ოგარიოვს გლეხობა მიაჩნდა ქვეყნის განმაახლებელად ძალად. ამას ქადაგებდა იგი კალმითა და სიტყვითი, რისთვისაც მეორედ დაუპატიმრეს. პოლიციისაგან დევნილმა რევოლუციონერმა რუსეთი დატოვა და ევროპას შეეხენა. მეფის მიერ „სამშობლოს მოღალატედ" გამოცხადებული ოგარიოვი პოლიტიკური ემიგრანტი გახდა და გერცენთან ერთად სათავეში ჩაუდგა სახელოვან „კოლოკოლს", რომლის მეორე რედაქტორი და მუდმივი თანამშრომელი იყო იგი. აქ დაბეჭდილი წერილებით ოგარიოვი მოუწოდებდა გლეხობას აჯანყებით დაუფლებოდნენ მიწასა და თავისუფლებას.

ნ. ოგარიოვის ამ შეხედულების თანამოზიარე იყო რუსეთის „ახალგაზრდა ემიგრაციაც" და მისი ფალავანი ნიკო ნიკოლაძე, ვისაც იმ ხანებში „ახალგაზრდა ვეფხვი" უწოდა გერცენმა.

ნ. ნიკოლაძეს ალბათ ადრე შორიდან იცნობდა ოგარიოვი პეტერბურგის გაზეთში „ნაროდნოე ბოგატსტვოში" გამოქვეყნებული წერილებით. ისინი მხოლოდ საზღვარგარეთ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, როდესაც ოგარიოვის თანხმობითა და მოწონებით დაიბეჭდა „კოლოკოლში" ნ. ნიკოლაძის ცხობილი წერილი „გლეხთა გასთავისუფლება საქართველოში". ავტორი მასში დაუნდობლად ამათრახებდა ცარიზმის „საგლეხო რეფორმას", მოითხოვდა სათემო მიწათმფლობელობას და გამანადგურებლად ესხმოდა თავს ქართველი ხალხის კოლონიურ ჩაგვრას მეფის რუსეთის მიერ.

ოგარიოვი ერთ უღელში შებმულნი მოღვაწეობდნენ ოგარიოვი და ნიკოლაძე „კოლოკოლის" რედაქციაში. ამის დამადასტურებელია გერცენის ერთი წერილი ოგარიოვისადმი, რომელშიც იგი სწერდა თავის მეგობარს: „ოგარიოვ, გახსოვდეს, რომ „კოლოკოლის" შემდგომი ნომრისათვის მე აღარაფერი მაქვს და ამიტომ დაწერე როგორმე და დაწერინე ნიკოლაძეს".

დიდი თანაგრძნობითა და სიმპათიით იყო გამსჭვალული „კოლოკოლი" და მისი ორივე რედაქტორი იმდროინდელი საქართველოს, ქართველი ხალხისა და მისი ახალგაზრდობისადმი. და ეს ნათლად გამოჩნდა ოგარიოვისა და გერცენის იმ სარედაქციო წერილში სათაურით „მიხეილი და მიხეილ ნიკოლოზის-ძენი", რომელშიც სასტიკად იყო მხილებული მეფის ნაცვლის მიხეილ ნიკოლოზისძის ანტიქართული და ანტისომხური პროვოკაციები.

ზოგჯერ ეს ურთიერთობა ოგარიოვსა და ნ. ნიკოლაძეს შორის გამწვავებულა კიდეც, ისევე, როგორც ეს მოხდა გერცენის წერილის გამო იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი, მაგრამ ამას მათი ურთიერთ სიყვარული და პატივისცემა წუთითაც არ შეუნელებია.

ადამიანთა თავისუფლებისათვის, სოციალური და ეროვნული თანასწორობისათვის იბრძოდნენ თავიდანვე „კოლოკოლი" და ნ. ოგარიოვი. განთქმული რევოლუციონერი პოეტი ულმობელი მტერი იყო დიდი, ძლიერი ერების მიერ მცირე ხალხთა ჩაგვრისა. თავის წერილებსა და ზეპირ გამოსვლებში იგი მაღალი კეთილშობილებითა და გულწრფელობით იცავდა ყველა ქვეყნის, დიდისა და მცირის, დამოუკიდებლობასა და თანასწორუფლებიანობას, მოუწოდებდა ხალხებს სამუდამოდ დაეგმოთ და დაემსხვრიათ ეროვნული მონობის ყველა ციტადელი, რადგან „ის ხალხი, — ამბობდა იგი, — რომელიც სხვებისათვის სჭედს მონობის უღელს, თვითონ ვერ დააღწევს თავს ამ მონობასო".

უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა ნ. ოგარიოვი ყველა ხალხის სულიერ ცხოვრებას, მის კულტურას, ტრადიციებს. როდესაც 1863 წელს პოლონეთის აჯანყებამ იფეთქა, იგი აღტაცებით მიესალმა მას, დაუვიწყარი სიტყვებით ადიდა მეფის მიერ დარაგრული ერის შვილთა თავგანწირვა და უამრავ ხიფათთან დაკავშირებული საქმეებით დაეხმარა აჯანყებულთ. ამ უთანასწორო, მაგრამ ისტორიულ ბრძოლაში, იგი ბოლომდე უერთგულესად იდგა რევოლუციურ-დემოკრატიულ, ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე და გერცენთან ერთად ამით „იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება".

როგორც თავისუფლების დიდი მედროშე, ნ. ოგარიოვი იცავდა მატერიალისტურ ფილოსოფიას და გამჭრიახი აზრით შეეჭურვილი თავს ესხმოდა მისტიკასა და რელიგიას; იგი ქვეშარიტად მებრძოლი ათეისტი იყო.

ფილოსოფიური მატერიალიზმისა და რევოლუციური დემოკრატიზმის პოზიციებიდან განიხილავდა ნ. ოგარიოვი ესთეტიკის პრობლემებსაც. იგი მოძრე და თეორეტიკოსი იყო იმ დიდი რეალიზმისა, რომლის პირველი დამსაბუთებელია ბ. ბელინსკი. „დაუცხრომელი ბესარიონის" მსგავსად, ნ. ოგარიოვიც ხელოვნებას რეალურ სინამდვილესთან აკავშირებდა, მას ამ სინამდვილის მხატვრულ სახეებში გადმოცემას ავალებდა. ოგარიოვი „წმინდა ხელოვნების" უნიადაგო თეორიას უპირისპირებდა რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის იმ ცხობილ დებულებას, რომ ხელოვნება უნდა არსებობდეს ცხოვრებისა და ხალხისათვის. „ხალხისათვის არსებული ლიტერატურა, — ამბობდა მწერალი, — უნდა წარმადგენდეს იმის უაღრესად სწორ, სრულ და წმინდა აქცერებას, რაც ცხოვრებაში ხდება, და არა იმ კუთხეს, სადაც ცხოვრებისაგან გაქცეულმა ადამიანმა შეიძლება შეაფაროს თავი".

ოგარიოვი, როგორც პოეტი, თავისი შემოქმედებით თვითონ ემსახურებოდა ცხოვრებასა და ხალხს. თვითმყურობელობის წინააღმდეგ მიმართული მისი ლექსები ხშირად ცალკე ფურცლებად ვრცელდებოდა ხალხში, ხოლო ზოგიერთი ნაწარმოები სიმღერებადაც იქცა.

64 წელს იცოცხლა ნ. ოგარიოვმა, აქედან თითქმის ნახევარი საუკუნე ფანატიკური სიყვარულით ემსახურა ხალხს, მის თავისუფლებას. მგზნებარე რევოლუციონერმა ამ დიდ საქმეს მოახმარა არა მარტო თავისი სულიერი ძალა, არამედ ქონებაც, რომლის დიდი ნაწილი ადრევე უსასყიდლოდ გადასცა გლეხებს, ხოლო დარჩენილიც ქვეყნის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას შეწირა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან მარტორობასა და სიღარიბეში გაატარა ინგლისის ქალაქ გრინვიჩში, სადაც გარდაიცვალა 1877 წლის 12 ივნისს.

ვლადიმერ ზამბახიძე.

პუშკინი და „სულიერი მამები"

(პოეტის ბიოგრაფიის უცნობი ფურცელი)

სოფელ მიხაილოვსკოეში გადასახლების პერიოდში გენიალურ პოეტს ალექსანდრე პუშკინს სვიატოგორსკის მონასტრის სულიერი მეურვეობა დაუწესეს, მაგრამ მონასტრის წინამძღვარმა იონამ მალე მას მეთვალყურედ დაუნიშნა მრევლის მღვდელი ილარიონ რაევსკი, რომელსაც ადგილობრივმა გლეხებმა მოსწრებულად შეარქვეს შკოდატუღლუტი.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც იონა უძლური აღმოჩნდა შეეკავებინა თავისი მონასტრის ბერები, რომლებიც ლოთობდნენ, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ქურდობდნენ და საღვთო წიგნების ყდებზე აბრობილი ძვირფასი ქვებიც კი ლოთობას გადაგვეგა.

მღვდელი შკოდა გონებამახვილი, ოხუჯი, მხიარული და, რაც მთავარია, ხათრიანი ადამიანი აღმოჩნდა. პუშკინი დაუმეგობრდა მას, იხსომებდა ხალხურ მოსწრებულ სიტყვებსა და ანდაზებს, რომელთა დიდი ოსტატი იყო ილარიონი. გადასახლებულმა პოეტმა იცოდა შკოდას სიყვარული მაგარი სასმელებისადმი, მისი სიხარბე „საერო სიკეთეთადმი" და იოლად იცილებდა თავიდან რელიგიური წესების შესრულებას იმით, რომ აძლევდა თავის მრევლის მღვდელს თივას, სანოვაგეს, ათხოვებდა ცხენებს სასოფლო სამუშაოებისათვის.

ილარიონ რაევსკი არაჩვეულებრივად კოლორიტული ფიგურა იყო მრევლში. თავის ქადაგებებში ამ სოფლის ხუცესს უხვად შეეკონდა მხიარული და გონებამახვილური ანდაზური თქმები და ხალხური ზღვები, რითაც ძალიან ართობდა მრევლს. ამბიონიდან იგი ხშირად გაჰკენწლავდა ხოლმე ადგილობრივ მემამულეებს.

ილარიონ რაევსკის ძალიან შეუყვარდა პუშკინი და პოეტის თხოვნით პანაშვიდიც კი გადაუხადა ბაირონს, ინგლისის დიდ თავისუფლებისმოყვარე პოეტს, როცა მიხაილოვსკოეშდე მიაღწია ცნობამ, რომ იგი მოკვდა თავისუფლებისათვის მებრძოლ საბერძნეთში. თუმცა კი, „ბოიარ გიორგის სულის განსასვენებლად" რომ ადავლენდა ლოცვებს, ხუცესმა არ იცოდა ვისზე იყო ლაპარაკი.

პუშკინის ნაკრძალის თანამშრომლებმა არქივების შესწავლისას აღმოაჩინეს ბევრი საინტერესო წარწერა, რომლებიც რაევსკის გაუკეთებია საეკლესიო დოკუმენტებზე და თვით... ღვთისმსახურების წიგნებზე. მათი შინაარსი სახუმარო, გონებამახვილურია, ზოგჯერ საკმაოდ უწმაწური და მუდამ დაშორებული ქრისტიანულ ღვთისმსახობას.

ილარიონ რაევსკიმ მონაწილეობა მიიღო პოეტის დედის დასაფლავებაში, აგრეთვე თვით პუშკინის დაკრძალვაში, რის შემდეგაც ოცდაერთ წელს იცოცხლა. პუშკინის სახელი მან ჩაწერა ალაპში და იხსენიებდა ეკლესიაში რუსეთის მეფეების სახელების შემდეგ.

ვ. ვოინოვი.



ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

საპატიო ჯილდო

თელავი. (საკ. კორ.). თელავი, ყვარელი, გურჯაანი. სად არ ნახავთ თელავის მეორე საგზაო საექსპლოატაციო უბნის (უფროსი ა. სახიერი) მუშაკებს. გაშავებას, მოასფალტებას, საშუალო და კაპიტალურ შეკეთებას — გზების გასამშვენიერებლად ყველა სამუშაოს მაღალხარისხოვნად ასრულებენ.

უბნის მუშაკებმა მესამე კვარტალში გზების კაპიტალური შეკეთების დავალება 130 პროცენტით გაანაღდეს, საშუალო შეკეთებისა — 105 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება 2,8 პროცენტით გაადიდეს. სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებით 8,6 ათასი მანეთის ეკონომია გასწიეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს კოლეგიამ და კავშირგაბმულობის, ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს თელავის გზატკეცილების მეორე საგზაო საექსპლოატაციო უბნის კოლექტივს მაღალი მაჩვენებლებისათვის დაუტოვონ მეორე კვარტალში მიღებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. თელაველებმა ამასთან ფულადი პრემიაც მიიღეს.



„თგილისი" სოხუმში

სოხუმი. (საკ. კორ.). სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება საქართველოს ზღვისპირეთის ქალაქი სოხუმი. ამ დღეებში მშენებლებმა ახალი სასტუმროს „თბილისის" მშენებლობა დაამთავრეს. სანაპიროდან ეს ლამაზი შენობა მომზიდველად გადაჰყურებს ზღვას.

იქ, სადაც ეს შესანიშნავი სასტუმროა, ჭაობიანი ადგილი იყო. დიდი სამუშაოები შესრულდა ქალაქის ამ დასავლეთი ნაწილის კეთილმოსაწყობად.

სასტუმრო „თბილისს" 192 ნომერი აქვს, სადაც ერთდროულად იცხოვრებს 308 კაცი. სასტუმროს ვესტიბიულები და ნომრები უზრუნველყოფილია საუკეთესო მოწყობილობით.

სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ რესტორნით, რომელიც სასტუმროს პირველ სართულზეა. აქვეა საფოსტო განყოფილება, შემნახველი სალარო, საპარიკმახერო, სპორტული დარბაზი და სხვ.

* * *

სურათზე: სასტუმრო „თბილისის" საერთო ხედი.

ფოტო მ. ტარასოვისა.

თევზის ცოცხალი კალო

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ლამაზია ხეთის ციტრუსებს საბჭოთა მეურნეობა. დაფნის, ციტრუსების პლანტაციები შეფენილია ურთის მთის კალთებზე. მაგრამ მარტო ციტრუსებისა და დაფნის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანით როდი გაითქვეს მეურნეობის მუშებმა სახელი.

მათ წყალუხვ წყაროებსა და პატარა მდინარეებს მიმართულება შეუცვალეს, შექმნეს ხელოვნური საგუბრები, სადაც სარკისებრი ჭანარი მოაშენეს.

მეურნეობის დირექტორმა ვ. ხორავამ ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— თევზსაშენები საშუალებას გვაძლევს არა მარტო ჩვენს მუშებს, არამედ ახლო მოსახლეობასაც ხშირად მივაწოდოთ ცოცხალი თევზი. წელს 2 ტონამდე თევზი დავიჭირეთ. მომავალი წლისათვის მოვაშენებთ 20-25 ათას ცალ ჭანარს. შვიდწლედის ბოლოსათვის ვაწარმოებთ 10-12 ტონა თევზს, რითაც მივიღებთ სულ ცოტა 12 ათას მანეთ შემოსავალს.

* * *

სურათზე: ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მე-6 ბრიგადის ბრიგადირი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მე-4 კურსის სტუდენტი ნონა სალაყაია თევზის დახარისხებისას.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

(საქდისის ფოტოქრონიკა).

მკითხველის კალმით

რუსთავში კომუნისტურ შრომასთან ერთად ფაროდ იკიდებს ფეს კომუნისტური სწავლაც. იმათთვის, ვინც დაინტერესებულია სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებლებში, შექმნილია სპეციალური მოსამზადებელი კურსები. იგი მსმენელებს ამზადებს მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

კურსების მსმენელები ძირითადად მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები და მეცემენტეები არიან.

მ. ბერიძე.

ბოდბისხევში მცხოვრები დ. ზურაბაშვილი თიხისაგან საუკეთესო ბურჭეულს ამზადებს. ამას წინათ მან ქვევრების დამზადების ახალი წესი შეიმუშავა. სქელი ტილოსაგან ქვევრის მაკეტი გააკეთა. მასში ნახერხი ჩატენა, გარედან აგურის ფხვნილისა და ცემენტის ნარევით გალესა, ხოლო შიგნიდან ცემენტის ხსნარით მოაპირკეთა. ოთხი-სუთი დღის შემდეგ ქვევრი მიწაში მოთავსა.

ლვინის ქარხანათა სამმართველომ ზურაბაშვილის ნახელავი ქვევრები მოიწონა.

ქ. სიმონიშვილი.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ტირაჟი

მოგებათა 96-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1963 წლის 30 ნოემბერს ქალაქ ტაშკენტში.

მოგება ხვდა სესხის ჩვიდმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000852	11*)	1.000	035454	47*)	500	070133	13*)	1.000
001511	1—50	40	035741	49*)	500	070208	49*)	1.000
002811	07*)	500	037014	23*)	500	071350	04*)	500
002994	1—50	100	037713	1—50	40	071713	17*)	500
003286	03*)	500	039590	14*)	500	071826	25*)	500
003320	1—50	100	039702	03*)	500	072371	15*)	1.000
003331	16*)	500	040709	30*)	500	072486	44*)	500
003756	32*)	1.000	040785	17*)	2.500	072685	1—50	40
004078	13*)	1.000	043231	1—50	100	073402	1—50	40
004668	1—50	40	044146	36*)	5.000	073941	32*)	1.000
004710	10*)	1.000	044353	1—50	100	074047	1—50	40
005970	27*)	500	044781	47*)	2.500	075194	24*)	500
006173	1—50	40	045461	21*)	500	075411	44*)	500
006681	1—50	40	045732	1—50	100	075465	1—50	40
006728	12*)	1.000	045822	1—50	40	075576	1—50	40
006845	44*)	500	046040	1—50	40	075935	07*)	500
007104	1—50	40	046811	1—50	40	076288	29*)	500
007361	1—50	40	046823	32*)	500	077159	19*)	5.000
008263	1—50	40	047273	14*)	500	077636	1—50	40
008763	1—50	100	047960	37*)	500	077648	48*)	500
009444	1—50	40	048094	47*)	500	079126	39*)	1.000
009457	09*)	500	048268	17*)	500	079798	1—50	100
011265	1—50	40	048975	30*)	2.500	080112	1—50	40
011350	1—50	40	049664	16*)	500	080116	1—50	40
011717	1—50	40	050994	1—50	40	080818	1—50	40
011883	30*)	1.000	052363	11*)	500	082288	1—50	40
014037	28*)	500	052597	47*)	500	083098	1—50	40
014109	10*)	500	052667	46*)	500	083248	06*)	500
014209	1—50	40	053921	36*)	500	083328	36*)	1.000
015576	1—50	40	054619	09*)	500	085201	02*)	500
015868	04*)	500	055846	29*)	500	085840	1—50	40
015955	09*)	500	056001	1—50	100	086568	04*)	500
017377	36*)	500	056077	14*)	500	086683	18*)	500
018103	1—50	40	056526	31*)	1.000	086729	1—50	40
019159	1—50	40	057287	17*)	500	087940	1—50	40
019317	25*)	500	057953	31*)	1.000	088265	48*)	500
020662	39*)	500	058248	18*)	500	088650	26*)	1.000
021430	35*)	500	059077	1—50	40	088810	04*)	500
023191	1—50	100	059359	15*)	500	089089	1—50	40
023236	34*)	500	060319	12*)	500	089267	39*)	500
026234	11*)	500	060544	38*)	500	089274	26*)	500
026622	16*)	500	061304	25*)	2.500	090156	38*)	500
027575	07*)	500	061884	44*)	500	090230	17*)	500
027932	42*)	1.000	062465	06*)	500	090592	46*)	1.000
029788	1—50	100	062850	08*)	500	090885	11*)	1.000
030301	15*)	1.000	063788	1—50	100	092492	1—50	40
030780	07*)	1.000	064999	39*)	500	094095	1—50	100
031307	1—50	100	065448	01*)	500	094418	37*)	500
031442	1—50	40	065494	30*)	500	094968	15*)	500
031931	21*)	500	067550	33*)	1.000	095139	06*)	500
031946	32*)	500	068056	1—50	40	095886	22*)	500
032563	1—50	40	068196	49*)	500	095992	1—50	40
033270	24*)	500	069438	28*)	500	096207	1—50	40
033785	17*)	1.000	069446	25*)	1.000	096781	02*)	500
034046	34*)	500	069547	18*)	2.500	097080	47*)	1.000
034629	1—50	100	069946	46*)	1.000	098565	21*)	500
034747	1—50	40				098747	1—50	40

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ტაშკენტის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. ა. ასამოვი.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ა. ვასილიევა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭადრაკო ჩემპიონატებზე

ჩემპიონის პირველი დამარცხება

ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატზე ლენინგრადში გათამაშდა მე-8 ტურის პარტიები. პირველი დამარცხება განიცადა ვ. კორჩნოიმ. 22-ე სვლაზე იგი გიბსლისს დანებდა. ხანმოკლე აღმოჩნდა ნოვოპაშინისა და ზახაროვის შეხვედრა. ნოვოპაშინს მხოლოდ 19 სვლა დასჭირდა, რომ დაემარცხებინა მოწინააღმდეგე. გამარჯვებასთან ერთად მან აფხაზეთის საჭადრაკო სექციის პრიზი — მოვერცხლილი ყანწი მიიღო სწრაფი გამარჯვებისათვის. დღეისათვის ეს ყველაზე მოკლე პარტია ტურნირზე. ფურმან-პოლუგაევსკი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ასპარეზობის ლიდერი სუეტინი დამარცხდა გუფელდთან და ხოლმოვთან შეხვედრებში. გელერ-ოსნოსი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო.

გრძოლა გამწვავდა

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მე-13 ტურში ასპარეზობის ლიდერები კუშნირი და სკეგინა მე-17 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. კოზლოვსკაიამ მოუგო დმიტრიევას, ბიკოვამ — პოსტნიკოვას, ზეორიკინამ — კანტოროვიჩს, ჩაიკოვსკაიამ დაამარცხა იგნატიევა, რანკაუმ — ივანოვა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას წარმატებით ითამაშა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ა. ჩაიკოვსკაიამ. მან ორივე გადადებული პარტია მოიგო, დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ე. ბიკოვა და ბორისენკო. ორ გადადებულ პარტიაში გათამაშების ლიდერმა კუშნირმა მხოლოდ ნახევარი ქულის მოპოვება შეძლო. მან ყაიმით დაამთავრა პარტია კაზმინასთან, იგნატიევასთან კი დამარცხდა. სკეგინამ მოუგო ივანოვას.

გუშინ გაიმართა მე-14 ტურის პარტიები. დმიტრიევამ მოუგო ივანოვას, ბელავენცევამ — პოსტნიკოვას, კოზლოვსკაიამ — კანტოროვიჩს. კუშნირ-შადურა ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. კაკაბაძეს მოსაგები პოზიცია აქვს ბიკოვასთან გადადებულ პარტიაში. ჩაიკოვსკაიას ზედმეტი პაიკი და უკეთესი მდგომარეობა კაზმინასთან.

14 ტურის შემდეგ 10 ქულით სკეგინა და კუშნირი ლიდერობენ. ჩაიკოვსკაიას 9,5 და ერთი გადადებული პარტია აქვს.

ფეხბურთელთა საერთაშორისო მატჩები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მეორე საერთაშორისო მატჩი გამართა. იგი ბელგიაში შეხვდა უძლიერეს საკლუბო გუნდს „ანდერლეხტს".

ორთაბრძოლა ორ გრადუს სითბოში მიმდინარეობდა. გუნდებმა თამაშის კარგი კლასი აჩვენეს. ორივე ნახევარში იგრძნობოდა საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობა. მათი კომბინაციები უფრო საინტერესო და სახიფათო იყო. პირველ ნახევარში ჩვენმა ფეხბურთელებმა ორი ბურთი გაიტანეს — ჯერ გუსაროვმა (33-ე წუთზე) და შემდეგ ჩისლენკომ (43-ე წუთზე).

თამაშის მეორე ნახევარში ბელგიელმა შტოკმანმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა (61-ე წუთზე), რასაც ოთხი წუთის შემდეგ კრუტიკოვის რეიდი და გუსაროვის დამაგვირგვინებელი დარტყმა მოჰყვა. მატჩის ანგარიშია 3:1 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

საბჭოთა ფეხბურთელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: იაშინი, გლოტოვი, შესტერნინოვი, კრუტიკოვი, ვორონინი, შუტიკოვი, ჩისლენკო, ივანოვი, გუსაროვი, მუდრიკი, სერგეევი (ტუალეი).

პირველი წარუმატებლობის შემდეგ მოსკოვის „სპარტაკმა", რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება, ანგარიშით 3:1 დაამარცხა ქ. ესენის ნაკრები. ბურთები გაიტანეს ნეტომ, როჟკომა და მასლიონკინმა.

თბილისის „დინამო" — პირველ ადგილზე

კაუნასი. 6 დეკემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). გუშინ თბილისის „დინამომ" დაამარცხა ფრუნზეს სკიფი 79:68, ხოლო ქართველმა სტუდენტთა გუნდმა „პოლიტექნიკოსმა" მოუგო დუშანბეს „ტაჯიკისტანს" — 67:58.

დღეს აქ გაიმართა ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელები. უნდა გადაწყვეტილიყო თუ ვინ მოიპოვებდა პირველ ადგილს, საკავშირო ჩემპიონატის ამ პირველ ტურში.

თბილისელთა სასტარტო ხუთეული ასეთი იყო: მინაშვილი, ხაზარაძე, ალთაბაევი, კილაძე, მოსეშვილი. თავიდანვე ჩვენი კალათბურთელები დაწინაურდნენ. მე-9 წუთისათვის ისინი 10 ქულით იყვნენ წინ. მე-11 წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 19:19. ასპარეზობა კიდევ უფრო საინტერესოდ, დაძაბულად წარიმართა. ტაიმის უკანასკნელ წამებზე ხაზარაძემ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 38:36. ასე დამთავრდა პირველი ნახევარი.

30-ე წუთისათვის 7 ქულით ქართველი კალათბურთელები დაწინაურდნენ. მაგრამ მათ როგორც კი მოადუნეს ყურაღღება, ისარგებლა მოწინააღმდეგემ. თამაშის დამთავრებას 4 წუთი აკლდა და ლენინგრადელები იგებდნენ 58:57. თბილისელები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. დარჩენილი წუთები მათ უშეცდომოდ ჩაატარეს და შეძლეს გამარჯვება ანგარიშით — 70:66.

ამავე დღეს თბილისის „პოლიტექნიკოსმა" დაამარცხა დუშანბეს სკიფი — 64:38.

ამრიგად, წინასწარი შეხვედრების პირველ ტურში გამარჯვება თბილისის „დინამომ" მოიპოვა.

მეორე ტურის შეხვედრები, რომელშიც საქართველოს ორივე გუნდი მონაწილეობს, დაიწყება 26 დეკემბერს.

ნ. ფოფხაძე.

თეატრები

7 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ივანანა (მე-10 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — მეტეხის ჩრდილში (23-ე აბონ. მე-10 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა (აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — ეურზარი არაფრის გამო (მე-13 აბონ